



ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

ენერჯეტიკა
2019 წლის 11 თვე
27 დეკემბერი 2019

2019 წლის 11 თვის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სიახლეები

პარლამენტმა ენერჯეტიკასთან დაკავშირებულ 2 კანონი დაამტკიცა: 1) ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ, რომელიც ენერჯეტიკის სექტორის რეფორმის პროცესის წარმართვისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტია და 2) კანონი განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს განახლებადი ენერჯის მიზნობრივ მაჩვენებლებსა და მათი მიღწევის მექანიზმებსა და ვადებს.


ევა ზოჭორიშვილი
კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
evabochoishvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.8036

მარიამ ჩახვაშვილი
უფროსი ანალიტიკოსი
mchakhvashvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.7897

კანონები განსაზღვრავს მომავალი ბაზრის ზოგად ჩარჩოს და იძლევა მითითებებს გარდამავალი პერიოდისთვის. კანონებით გათვალისწინებულ ცვლილებათა შორისაა: განაწილებისა და გადაცემის საქმიანობების გამიჯვნა, ბაზრის ახალი მოთამაშეების ჩამოყალიბება (მაგ. ელექტროენერჯის მიმწოდებლები, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლები, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლები), უბალანსობის მოგვარების მექანიზმის შემოღება, განახლებადი ენერჯის წახალისების მექანიზმების განსაზღვრა და ა.შ.

აღნიშნული კანონები ასევე ადგენენ ვადებს და პასუხისმგებელ ორგანოებს მეორადი კანონმდებლობის მისაღებად, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ ბაზრის ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალები და მათი განხორციელების სამოქმედო გეგმები. რაც მთავარია, დონორი ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ და ეხმარებიან საქართველოს ამ გარდამავალ პროცესში.

დიაგრამა 1: კანონით გათვალისწინებული ძირითადი დოკუმენტების დამტკიცების ვადები



წყარო: საქართველოს პარლამენტი, გალტ & თაგარტი

ზემოაღნიშნული კანონებით გათვალისწინებული ძირითადი საკითხები დეტალურად განხილულია ელექტროენერჯის ბაზრის 2019 წლის 3 ოქტომბრის მიმოხილვაში ([იხ. ბმული](#)).



2019 წლის 11 თვის სხვა მნიშვნელოვანი საიახლეები

საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით აღებულ ვალდებულებების მიხედვით წლის ბოლომდე კიდევ სამი კანონია მისაღები. ამჟამად სამივე კანონპროექტი განიხილება პარლამენტში. ესენია:

1. კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ, რომელიც ადგენს ქვეყნის სამიზნე მაჩვენებლებსა და მისი მიღწევის მექანიზმებს;
2. კანონი შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო ნორმების გამკაცრებას 2020 წლის განმავლობაში და საჯარიმო სანქციების შემოღებას 2021 წლიდან;
3. კანონი ენერგოეტიკეტირების შესახებ, რომელიც ავალდებულებს საყოფაცხოვრებო ტექნიკის ყველა გამყიდველს გასაყიდი პროდუქტის ეტიკეტზე ენერგომომარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დატანას. ინფორმაციის სია და ფორმა განისაზღვრება 2020 წლის განმავლობაში, ხოლო ნორმის არშესრულების შემთხვევაში საჯარიმო სანქციები შემოვა 2021 წლიდან.

ამასთან, კანონპროექტებში აღნიშნული ვადები შესაძლოა შეიცვალოს მისი განხილვისა და დამტკიცების პროცესში.

ელექტროენერჯის სავაჭრო დეფიციტი 29.7%-ით გაიზარდა და 58.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ელექტროენერჯის მოხმარება წინა წლებთან და პროგნოზირებულთან შედარებით ბევრად დაბალი ტემპით, წლიურად 1.6%-ით გაიზარდა. ამასთან, არასახარბიელო კლიმატური პირობების გამო, მნიშვნელოვნად შემცირდა ჰიდროგენერაცია (-9.2% წ/წ), რამაც გაზარდა მოთხოვნა ელექტროენერჯის იმპორტსა (+10.5% წ/წ) და იმპორტირებულ რესურსზე მომუშავე თბოგენერაციაზე (+29.4% წ/წ). აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 11 თვეში ელექტროენერჯის იმპორტის 36% რუსეთიდან განხორციელდა.

ხრამი 1 და ხრამი 2 ჰესების ტარიფი გაიზარდა და შესაბამისად კვტ.სთ-ზე 10.837 თეთრი (+18.5% წ/წ) და 12.304 თეთრი (+15.9% წ/წ) შეადგინა. სემეკის მიერ დადგენილი ეს ტარიფები 2019 წლის დეკემბრიდან 2021 წლის ბოლომდე იქნება ძალაში. გამომდინარე იქიდან, რომ ხრამი 2-ს აქვს რეგულირებულ ჰესებს შორის ყველაზე მაღალი ტარიფი, მისი ტარიფი ასრულებს დერეგულირებული ბაზრისთვის საორიენტაციო ფასის ფუნქციას. შესაბამისად, 2019 წლის დეკემბრიდან, ესკოს მიერ დერეგულირებული სადგურებისთვის საბალანსო ელექტროენერჯისთვის გადახდილი საფასური კვტ.სთ.-ზე 10.614 თეთრიდან 12.304 თეთრამდე გაიზარდება 2019 წლის ბოლომდე.

250 მგვტ სიმძლავრის თბოელექტროსადგური გარდაბანი 2 სატესტო რეჟიმში ჩაერთო. თბოსადგური აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და ძველ სადგურებთან შედარებით უფრო ეფექტურად შეძლებს ელექტროენერჯის წარმოებას. სხვა თბოსადგურებისგან განსხვავებით, გარდაბანი 2 არ მიიღებს გარანტირებული სიმძლავრის საფასურს. ამასთან, ამ თბოსადგურის 14-წლიანი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით ყოველწლიურად შესასყიდი 1,200 კვტ.სთ-ისთვის ტარიფი კვტ.სთ-ზე 5.5 აშშ ცენტით განისაზღვრა. გარდაბანი 2-ის მფლობელია სახელმწიფო კომპანია საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაცია.



ელექტროენერჯის გამომუშავება, იმპორტი, მოხმარება და ექსპორტი - 2019 წლის 11 თვე


ადგილობრივი მოხმარება

ელექტროენერჯის მოხმარებამ 2019 წლის 11 თვეში 11.6 ტვტ.სთ შეადგინა, რაც წლიური 1.6%-იანი ზრდაა. ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად შენელებულია, როგორც წინა წლებთან, ისე პროგნოზირებულ მაჩვენებელთან შედარებით. ანალოგიურ პერიოდებში ზრდა 6.7% და 8.6% იყო, შესაბამისად 2018 და 2017 წლებში. მოხმარების ზრდის ტემპის შენელება უკავშირდება კლიმატურ პირობებს. ჩვენი მოლოდინით, 2019 წელს, ელექტროენერჯის მოხმარების წლიური ზრდა 1.8%-ს შეადგენს.

მომხმარებელთა ცალკეულ კატეგორიებში მოხმარების ტენდენციები საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარეობს. კვალიფიციური (პირდაპირი მოხმარებლები) საწარმოების მოხმარება 2019 წლის 11 თვეში წლიურად 61.3%-ით გაიზარა, რაც ამ ჯგუფში ახალი კომპანიების დამატებით აიხსნება. ამასთან, იგივე მიზეზით დისტრიბუციის ლიცენზიანტების მოხმარება წლიურად 11.8% შემცირდა. ამ ჯგუფიდან ყველაზე მეტად ენერგო-პრო ჯორჯიას მოხმარება შემცირდა (-16.3% წ/წ), რადგან მისი აბონენტების გარკვეული ნაწილი პირდაპირ მოხმარებლად დარეგისტრირდა.

შეგახსენებთ, რომ ბაზრის დერეგულირების გეგმის ფარგლებში, 11 კომპანია, რომელთა საშუალო თვიური ელექტროენერჯის მოხმარება აღემატებოდა 5 გვტ.სთ-ს, 2019 წლის 1 მაისიდან სავალდებულო წესით დარეგისტრირდა პირდაპირ მოხმარებლად. სავალდებულო წესით რეგისტრაცია 2018 წლის მაისშიც განხორციელდა იმ კომპანიებისთვის, ვისი მოხმარებაც თვიურად 15 გვტ.სთ-ს აღემატებოდა. ამ ორი საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, პირდაპირი მოხმარებლების რიცხვი ბოლო ორ წელიწადში გაიზარდა 2-დან 15-მდე. ამასთან, მათი ჯამური მოხმარება გაორმაგდა 2017-19 წლებში და ხოლო მათი წილი ქვეყნის მთლიან მოხმარებაში იგივე პერიოდში 12.4%-დან 22.8%-მდე გაიზარდა. 2019 წლის 11 თვეში, ესკო პირდაპირი მოხმარებლების ჯგუფის უმსხვილესი მიმწოდებელი იყო, 42.0%-იანი წილით. ეს აიხსნება ესკოს მიერ შეთავაზებული დაბალი ფასით მაისსა და ივნისში, რასაც ენერჯიკის იაფიან რესურსზე ხელმისაწვდომობა განაპირობებდა (იხილეთ ცხრილი 3).

გრაფიკი 1: ელექტროენერჯის მოხმარება, გვტ.სთ



წყარო: ესკო
შენიშვნა: ენერგო-პრო ჯორჯია მოიცავს კახეთის ენერჯიტიკის 2017 წლის ავრისტომდე მოხმარებასაც

ცხრილი 1: ელექტროენერჯის მოხმარება, 11თ19

მომხმარებელი	წლიური ზრდის ტემპი	წილი მოხმარებაში
შიდა მოხმარება	+1.6%	100.0%
აფხაზეთის რეგიონი	+7.8%	15.6%
კვალიფიციური საწარმოები	+61.3%	22.8%
სადისტრიბუციო კომპანიები	-11.8%	61.6%
ენერგო-პრო ჯორჯია	-16.3%	39.0%
თელასი	-2.6%	22.6%

წყარო: ესკო



2019 წლის 11 თვეში დაერგისტრირებული 10 საბითუმო მიმწოდებელიდან მხოლოდ 3 იყო აქტიურად ჩართული ვაჭრობის პროცესში. ეს კომპანიებია: „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“, „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“, „საქართველოს ენერჯით ვაჭრობის კომპანია“. საბითუმო მიმწოდებლების მიერ გაყიდულმა ელექტროენერჯიამ მთლიანი ელექტროენერჯის ვაჭრობის მხოლოდ 2.3% შეადგენა. ჩვენ ველოდებით, რომ საბითუმო მიმწოდებლები უფრო აქტიური გახდებიან ბაზარზე, ენერგეტიკის ახალ კანონში გათვალისწინებული ყველა ცვლილების განხორციელების შემდეგ.


ელექტროენერჯის გენერაცია

არასახარბიელო ჰიდროლოგიური პირობების გამო 2019 წლის 11 თვეში ჰიდროგენერაცია 9.2%-ით შემცირდა და ჯამური მიწოდების მხოლოდ 68.4% შეადგინა, წინა წლის ანალოგიური პერიოდის 74.3%-თან შედარებით.

ამ კლების დაკომპენსირება და მოხმარების დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდა თბოსადგურების გაზრდილი გამომუშავებითა (+29.5% წ/წ) და იმპორტით (+10.5% წ/წ). შედეგად, 2019 წლის 11 თვეში ამ ორი კომპონენტის წილმა ჯამურ მიწოდებაში 30.9% შეადგინა (3.8ტვტ.სთ).

ენგურ-ვარდნილის გენერაციის 47.6% მოხმარდა აფხაზეთის რეგიონის გაზრდილ მოხმარებას (+7.8% წ/წ), 2019 წლის 11თვეში. ამ რეგიონისთვის ასევე საჭირო გახდა ელექტროენერჯის იმპორტის განხორციელება რუსეთიდან, სალხინოს გადამცემი ხაზის მეშვეობით, თებერვალ-მარტის განმავლობაში.

გრაფიკი 2: ელექტროენერჯის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა 2019 წლის 11 თვის განმავლობაში კვტ.სთ-ზე საშუალოდ 0.54 აშშ ცენტი შეადგინა (-2.4% წ/წ). ასეთი დაბალი საშუალო მაჩვენებელი თბოსადგურებზე ზაფხულის პერიოდში განხორციელებულ გეგმიურ რემონტებს უკავშირდება.

ცხრილი 2: ელექტროენერჯის მიწოდება, 11თ19

მიწოდება	წლიური ზრდის ტემპი	წილი ჯამურ მიწოდებაში
ჯამური მიწოდება	-1.4%	100.0%
იმპორტი	+10.5%	11.5%
ადგილობრივი გენერაცია	-2.8%	88.5%
თბოსადგურები	+29.4%	19.4%
ქარის სადგურები	+1%	0.6%
ჰესები	-9.2%	68.4%
ენგური-ვარდნილი სხვა რეგ. ჰესები	-15.6%	31.0%
დერეგულირებული ჰესები	-10.0%	19.7%
ჰესები	+5.8%	17.8%

წყარო: ესკო




ელექტროენერჯის იმპორტი

2019 წლის 11 თვეში ელექტროენერჯის იმპორტი წლიურად 10.5%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ივლისსა და აგვისტოში პირველად განხორციელდა ელექტროენერჯის იმპორტი, მაშინ როცა ეს თვეები წლების განმავლობაში საექსპორტო თვეებად მიიჩნეოდა.


ელექტროენერჯის იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან (ჯამურის 64%) და რუსეთიდან (ჯამურის 36%). იმპორტის ძირითადი წყარო იანვარ-აგვისტოს პერიოდში იყო აზერბაიჯანი - მთლიანი იმპორტის 91.1%-იანი წილით, ხოლო სექტემბრიდან ნოემბრამდე, აზერბაიჯანული იმპორტი ძირითადად შეცვალა რუსულმა იმპორტმა - 75%-იანი წილით. აზერბაიჯანული იმპორტის რუსულით ჩანაცვლება სავარაუდოდ ფასის სხვაობითაა განპირობებული - აგვისტოს თვეში, როდესაც ელექტროენერჯია მთლიანად იმპორტირებული იყო აზერბაიჯანიდან, იმპორტის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 5.2 აშშ. ცენტი იყო, ხოლო ოქტომბერში, როდესაც ელექტროენერჯის 99% იმპორტირებული იყო რუსეთიდან, იმპორტის საშუალო ფასი შეადგენდა კვტ.სთ-ზე 4.7 აშშ ცენტს (-8.8%-იანი სხვაობა). ცნობისთვის, 2019 წლის დეკემბერში რუსეთიდან ელექტროენერჯის იმპორტი შეჩერდა და ჩანაცვლდა აზერბაიჯანული იმპორტით, სავარაუდოდ ტექნიკური შეზღუდვების გამო.

გრაფიკი 3: ელექტროენერჯის იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: ელექტროენერჯის იმპორტის დინამიკა და საშუალო ფასები, 2019 წ




წყარო: ესკო

ელექტროენერჯის იმპორტის ღირებულებამ 2019 წლის 11 თვეში 67.3 მლნ აშშ დოლარი (+5.4% წ/წ) შეადგინა. აქედან დაახლოებით 22 მლნ აშშ დოლარი რუსეთიდან იმპორტში დაიხარჯა. ამ პერიოდის განმავლობაში, ესკო იყო უმსხვილესი იმპორტიორი. აღსანიშნავია, რომ წელს პირველად, ელექტროენერჯის იმპორტის 3.8% განახორციელა პირდაპირმა მომხმარებელმა - კომპანია „ბი ეფ დი სი ჯორჯია“-მ, საკუთარი მომხმარებლის დასაკმაყოფილებლად.

ელექტროენერჯის სავაჭრო დეფიციტი 2019 წელს სავარაუდოდ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწევს. 2019 წლის 11 თვის მონაცემებით, ელექტროენერჯის ექსპორტი მხოლოდ 0.2 ტვტ.სთ იყო (-59.1% წ/წ), იმპორტმა კი 1.4 ტვტ.სთ (+10.5% წ/წ) შეადგინა. ამასთან, თანხობრივად ელექტროენერჯის სავაჭრო დეფიციტმა 2019 წლის 11 თვეში 58.2 მლნ აშშ დოლარი (+29.7% წ/წ) შეადგინა.




გრაფიკი 5: სავაჭრო ბალანსი, მლნ აშშ. დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 6: ელექტროენერჯის იმპორტის და საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი


ელექტროენერჯის ტრანზიტმა აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით 116.7 გვტ.სთ შეადგინა, 2019 წლის 11 თვეში. ტრანზიტის მოცულობა 8.7-ჯერაა გაზრდილი 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თუმცა ბევრად ჩამორჩება 2016 და 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, როდესაც ტრანზიტის ყველაზე მაღალი მოცულობები დაფიქსირდა.

ელექტროენერჯის ფასები საქართველოში და თურქეთში - 2019 წლის 8 თვე

საქართველოში საბალანსო ელექტროენერჯის ფასი საშუალოდ კვტ.სთ-ზე 4.7 აშშ ცენტს შეადგენდა 2019 წლის 11 თვეში, რაც წლიური 5.0%-იანი კლებაა. საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო ფასის კლება ესკოს მიერ ენერჯის შედარებით იაფიანი ენერჯის შესყიდვით და შედეგად შემცირებული გასაყიდი ფასით აიხსნება. საბალანსო ელექტროენერჯის წილმა ჯამურ მიწოდებაში 21.1% შეადგინა, ხოლო დანარჩენი მოცულობის ვაჭრობა ორმხრივი კონტრაქტების გზით განხორციელდა.

თურქეთში ელექტროენერჯის საშუალო საბაზრო ფასი 2019 წლის 11 თვეში კვტ.სთ-ზე 4.7 აშშ ცენტამდე შემცირდა (-2.2% წ/წ). აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის საექსპორტო თვეებში (აპრილისა და მაისი) თურქეთში ფასი კიდევ უფრო დაბალი იყო და კვტ.სთ-ზე შესაბამისად 3.4 აშშ ცენტს და 4.1 აშშ ცენტს შეადგენდა.

გრაფიკი 7: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი, სეზი, EPIAS



ცხრილი 3: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე

	დეკ-18	2018	იან-19	თებ-19	მარ-19	აპრ-19	მაი-19	ივნ-19	ივლ-19	აგვ-19	სექ-19	ოქტ-19	ნოვ-19	11თ19
საბალანსო ელექტროენერჯის გასაყიდი ფასი საქართველოში %-ლი ცვლილება, წ/წ	5.3	5.0	5.1	5.2	5.0	4.8	2.7	2.6	4.7	4.9	5.0	5.0	5.2	4.7
	+9%	+1%	+1%	-3%	+0%	-3%	-50%	-50%	+30%	+4%	+12%	-6%	+2%	-5.0%
საშუალო ფასი საქართველოში იმპორტირებულ ელექტროენერჯიაზე %-ლი ცვლილება, წ/წ	5.2	5.0	5.0	4.5	3.6	5.0	5.5	5.5	5.2	5.2	5.1	4.7	5.0	4.8
	+7%	+13%	-3%	-14%	-27%	-12%	-5%	-4%	-13%	+12%	+20%	-7%	+1%	-4.6%
საშუალო ფასი საქართველოდან ექსპორტირებულ ელექტროენერჯიაზე %-ლი ცვლილება, წ/წ	-	3.2	-	-	NM	NM	4.0	5.5	NM	NM	-	NM	-	3.8
	-100%	+22%	-	-	-	-	+22%	+1.2%	NM	-	-	-	-	+16.2%
ელექტროენერჯის საბაზრო ფასი თურქეთში %-ლი ცვლილება, წ/წ	5.0	4.8	4.4	5.0	4.8	3.4	3.4	4.1	5.4	5.4	5.3	5.1	5.3	4.7
	+21%	+4%	-11%	+6%	+16%	-29%	-18%	+1%	+22.5%	+1.9%	+1%	-7%	-4%	-2.2%

წყარო: ესკო, საქსტატი, სეზი, EPIAS

შენიშვნა: ექსპორტისა და იმპორტის საშუალო ტარიფი უმნიშვნელოა (NM) როცა რეალურად განხორციელებული იმპორტი ან ექსპორტი უმნიშვნელოა.



ცხრილი 4: ელექტროენერჯის ბალანსი, გვტ.სთ

	დეკ-18	2018	იან-19	თებ-19	მარ-19	აპრ-19	მაი-19	ივნ-19	ივლ-19	აგვ-19	სექ-19	ოქტ-19	ნოვ-19	11თ19
სულ შიდა მოხმარება	1,171	12,577	1,148	1,036	1,137	1,010	984	1,064	1,107	1,103	971	958	1,068	11,586
%-ლი ცვლილება, წ/წ	+1%	+6.1%	-2%	-2%	+2%	+3%	+2%	+8.6%	+1.5%	+5.3%	+1.8%	-1.9%	-0.8%	+1.6%
<i>მათ შორის:</i>														
- აფხაზეთის რეგიონი	243	1,922	254	221	242	187	114	108	117	128	115	126	197	1,809
%-ლი ცვლილება, წ/წ	+1%	-4.0%	+3%	+2%	+17%	+26%	+13%	+7%	+1%	+6%	+9%	+3%	+2%	+7.8%
- კვალიფიციური საწარმოები	159	1,794	144	129	154	144	313	324	334	308	290	257	239	2,637
%-ლი ცვლილება, წ/წ	+56%	+25.7%	+33%	+24%	+34%	+31%	+74%	+84%	+84%	+80%	+81%	+52%	+50%	+61.3%
- სადისტრიბუციო კომპანიები	769	8,862	750	686	741	680	557	631	656	666	566	575	632	7,140
%-ლი ცვლილება, წ/წ	-6%	+5.2%	-8%	-7%	-6%	-6%	-18%	-10%	-17%	-12%	-18%	-16%	-13%	-11.8%
<i>მათ შორის:</i>														
- ენერგო-პრო ჯორჯია	492	5,891	481	445	488	458	341	379	404	424	358	360	379	4,517
%-ლი ცვლილება, წ/წ	-7%	+12.1%	-8%	-6%	-6%	-5%	-27%	-20%	-23%	-19%	-23%	-23%	-21%	-16.3%
- თელასი	276	2,970	269	241	253	221	216	252	252	243	208	215	253	2,623
%-ლი ცვლილება, წ/წ	-5%	+1.2%	-8%	-8%	-7%	-7%	+1%	+12%	-7%	+3%	-6%	-2%	+2%	-2.6%
სულ გენერაცია	986	12,149	1,011	939	974	966	1,156	1,198	1,055	1,020	821	800	913	10,853
%-ლი ცვლილება, წ/წ	-9%	+5.4%	-0%	+0%	-2%	-9%	-0%	-1%	-17%	+4%	-3%	+2%	+1%	-2.8%
<i>მათ შორის:</i>														
ჰიდროსადგურები	705	9,949	601	511	540	801	1,150	1,185	1,043	874	607	580	503	8,395
%-ლი ცვლილება, წ/წ	+3%	+8.0%	-11%	-14%	-30%	-21%	+7%	-1%	-17%	+6%	-11%	+0%	-11%	-9.2%
თბოსადგურები	275	2,115	405	420	426	159	0	7	3	138	207	214	402	2,381
%-ლი ცვლილება, წ/წ	-30%	-5.3%	+22%	+26%	+98%	+348%	-100%	+141%	-52%	-8%	+29%	+8%	+22%	+29.4%
ქარის სადგურები	6	84	6	7	8	7	6	5	9	8	7	6	8	78
%-ლი ცვლილება, წ/წ	11%	-4.0%	-18%	18%	17%	-27%	17%	6%	11%	9%	-11%	-19%	16%	+0.1%
იმპორტი	228	1,509	182	142	209	81	0	8	94	119	185	195	200	1,416
%-ლი ცვლილება, წ/წ	+69%	+0.8%	-10%	-15%	+30%	+621%	-99%	+29%	NM	+20%	+33%	-15%	-9%	+10.5%
ექსპორტი	-	589	-	-	0	0	134	100	6	0	0	3	0	243
%-ლი ცვლილება, წ/წ	N/A	-14.2%	N/A	N/A	N/A	N/A	-32.8%	-48.7%	-95%	N/A	N/A	N/A	N/A	-58.6%
წმინდა ექსპორტი	(228)	(920)	(182)	(142)	(209)	(81)	134	92	(88)	(119)	(185)	(193)	(200)	(1,173)
ტრანზიტი	112	13	-	9	6	9	-	-	-	38	33	-	22	117
%-ლი ცვლილება, წ/წ	+113%	-94.7%	N/A	-33%	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	-80%	+768.7%

წყარო: ესკო



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა ფლობაშია ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზარებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზარებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარდებები, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატული ან ნაგულსხმევით, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულსხმევით ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთლისინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ. მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულსხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გაელენა მთავარი ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის მიმდებარეობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoreshvili@gt.ge

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
ზაზანა შენგელია | bshengelia@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ნინო პერანიძე | nperanidze@gt.ge

ანალიტიკოსი
ნიკა მეგუთნიშვილი | nmegutnishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge